

კვირის მიმოხილვა

39 15-21 დეკემბერი

15-21 დეკემბრის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ინდივიდუალური შუღლის გაღვივებას ჟურნალისტის (გაზეთი "კვირის ქრონიკა") მხრიდან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ ჰქონდა ადგილი;
- ქსენოფობიის წყარო როგორც მედიის წარმომადგენლები (ტელეკომპანია "კავკასია", ინტერნეტ-პორტალი "საქინფორმი"), ასევე ცალკეული რესპონდენტები (გიგლა ბარამიძე და თემურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია; იასე ზაუტაშვილი, აირზენას გენერალური

დირექტორი; რაჭაში აქციის მონაწილე) იყვნენ;

- ჰომოფობიურ განწყობებს ტრადიციულად მედია-კავშირი "ობიექტივი", გაზეთები "ასავალ-დასავალი" და "კვირის ქრონიკა", ინტერნეტ პორტალები "საქინფორმი" და Geworld.ge და მათი რესპონდენტები აღვივებდნენ;
- ანტიდასავლური განწყობები სტალინის ფენომენის შეფასებასთან, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათ მეხუთე კოლონად წარმოჩენის მცდელობასთან იყო დაკავშირებული.



საქმეზე ტარიელ ნაკაიძე Mediacity-ს წინააღმდეგ ქარტიამ სამი მუხლის დარღვევა დაადგინა



16 დეკემბერს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე ტარიელ ნაკაიძე Media-city-ს წინააღმდეგ, რომლის თანახმად, ინტერნეტ-გამოცემამ ქარტიის სამი მუხლი დაარღვია.

საჩივრის საფუძველი, რომელიც მედიის განვითარების ფონდის

ადვოკატურებით მომზადდა, გახდა ინტერნეტ-პორტალის მიერ გამოქვეყნებული ინტერვიუ ქართველ მუსლითა კავშირის თავმჯდომარის მოადგილესთან ტარიელ ნაკაიძესთან, რომელიც რესპონდენტის აზრით, არ შეესაბამებოდა მის მიერ გაკეთებულ სატელეფონო კომენტარს და ქარტიის პირველი მუხლის (სიზუსტე) დარღვევას წარმოადგენდა.

გაგრძელება გვ. 6

შინაარსი

ინდივიდუალური შუღლის	2
ქსენოფობია	2-3
ჰომოფობია	3-4
გენდერი	4
ანტიდასავლური განწყობები	4-6

ინდივიდუალური შუღლის გაღვივება

კპირის ქრონიკა, 15 დეკემბერი

ნიკო სამხარაძე, ჟურნალისტი: "მიმას უკრაინელი კრიმინალები ქართველი ლონდრე "მველი ბიჭები" ჰგონია... ქართველო ჩიკატილო, მინდა გაგაფრთხილო, რომ სწორედ მაგ უკრაინაში შეგაჭმევიანებენ საკუთარ ხორცს და მერე მაგ ბოროტ თავს დაგაჭერინებენ საკუთარ ხელში!"

ქსენოფობია

კავკასია, სპექტრი, 16 დეკემბერი

გიგლა ბარამიძე, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია: "შე დალოცვილო, სად იყო ჩრდილოეთის იმპერია, როდესაც ჩვენ ჩვენს სისხლსა და ხორცს ვყიდდით..."

ღავით აქუბარდია,

წამყვანი: ... ჯიში გავუმჯობესეთ ეგერ თურქებს...

ბარამიძე, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია: ჯიში გავუმჯობესეთ თურქებს, სპარსელებს...

http://www.myvideo.ge/?video_id=2471589

კავკასია, სპექტრი, 19 დეკემბერი

ღავით აქუბარდია,

წამყვანი: "შაჰა ბასს გავუმელით, კახა! მოვიგეთ, ჯამში... სპარსელებთან გისაუბრია ვინმესთან? საერთოდ, აი, განდევნილები არიან, მოკვეთილებივით არიან, ხო?! ვერცერთი სპარსელი, ირანელი აქ ბიზნესსაც ვერ აწყობს. აი, ესე დადგება დრო..."

http://www.myvideo.ge/?video_id=2473857

ასავალ-ღასავალი, 15-21 დეკემბერი

"გელათის კარიბჭესთან ირანელებმა მიწა იყიდეს და სასტუმროს აშენებენ!"

თემურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები:

"გადავამოწმე და მითხრეს, რომ მართლა გაუყიდიათ გელათის კარიბჭის მიმდებარე ტერიტორია [ირანელებზე], სადაც ქართველი

მეწარმეები ხელნაკეთ ნივთებს ყიდიან. არტურ ლაისტი და მარჯორი უორდროპი რომ ცოცხლები იყვნენ, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე „მორეულ თავისიანებს“ უწოდებდა, ჩვენს გვერდით დადგებოდნენ და ამ საშინელებას გააპროტესტებდნენ. მაგრამ მაკვინმა რა უნდა გააპროტესტოს ან გვერდით როგორ უნდა დაგვიდგეს? ვატყობ, საქართველოში ისე უტევენ ყოველივე ეროვნულსა და ტრადიციულს, აჯანყება მოხდება!"

პრაიმ ტაიმი, 15 დეკემბერი

იასე ზაუტაშვილი, აირზენას

გენერალური დირექტორი: „...მოკლედ, მან [ეკონომიკის მინისტრმა] გადაწყვიტა, რომ აეროპორტი თურქებს ჰქონდეთ, ცა - რუსებს. მაშინ ქართველების ადგილი სადღა ჩვენს ქვეყანაში?“

საქინფორმი, 15 დეკემბერი

არნო სიღირაშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:

"საქართველოში კი [მიხეილ სააკაშვილმა] რუსული ენა მოსპო - იმ მიზნით, რომ რუსულენოვანი მოსახლეობა საქართველოდან გააძეოს და სანაცვლოდ 300 ათასი თურქი მესხი ჩამოიყვანოს."

<http://bit.ly/178XT4V>



ღავით აქუბარდია,

წამყვანი: "ჯიში გავუმჯობესეთ ეგერ თურქებს..."

ქსენოფობია

დასაწყისი გვ. 2

რუსთავი 2, კურიერი, 20 დეკემბერი

სიუჟეტი ეხება რაჭაში ჰესის მშენებლობას.

ადგილობრივი მცხოვრები: "წავალთ, და იმ თურქს დავახრჩობთ"...

http://www.myvideo.ge/?video_id=2476375&rc=1

კომოვობია

ობიექტივი, ღამის სტუდია, 15 დეკემბერი

ენო რატიშვილი, წამყვანი: "ვერ გავიგე ეს ანტიიდესკრიმინაციული კანონი, მარტო ე.ი. რაღაც გარკვეულ სექტებს და რაღაც გარკვეულ ფენებს ეხება, თუ რამია საქმე?! ...

ჯონლი ბალათურია, ბურჯანაძე-

გაერთიანებული ოპოზიცია: პირდაპირ გეუბნებიან, რომ ჩვენთვის პრიორიტეტი არის... სექსუალური უმცირესობა, რომელიც უნდა მოგვაჯდეს თავზე, თურმე და სხვადასხვა სექტები. ეხლა ძირითადი აქცენტი სექსუალურ უმცირესობაზე აქვთ გადატანილი, ეს მოსწონთ ძალიან.

ენო რატიშვილი, წამყვანი: თუმცა მე მინდა გითხრათ, რომ ეს აგრესია, რაც სამწუხაროდ არის, სწორედ ამ კანონის მიღებამ უფრო განაპირობა, ვიდრე მანამდე იყო...
http://www.myvideo.ge/?video_id=2471667

ასაგალ-ღასაგალი, 15-21 დეკემბერი

მეზი საჯანია, ჟურნალისტი: "ბატონო ზურაბ, ბოლო პერიოდში მომრავლდნენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები. ხომ არ უკავშირდება ეს ფაქტი არასწორ აღზრდას?"

ზურაბ მარშანია, სექსოლოგი: "ისინი [რაფინირებული ჰომოსექსუალები] დგანან მძიმე არჩევანის წინაშე: იცხოვრონ მხოლოდ ჰომოსექსუალური ცხოვრებით ან, საერთოდ, უარი თქვან სექსობრივ ცხოვრებაზე, რაც კონკრეტული ადამიანის მრწამსზე დამოკიდებული. თანამედროვე მეცნიერებას არ მოეპოვება სარწმუნო მტკიცებულებები

იმის თაობაზე, რომ ადამიანი დაბადებისთანავე იძენს ჰომოსექსუალურ იდენტობას... მშობლების დესპოტურმა მიდგომებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი სექსუალური გადახრების განვითარებას, რაც პიროვნულ ტრაგედიად იქცევა ხოლმე!"

GEWORLD.GE, 16 დეკემბერი

„თურქეთში აკრედიტირებული ჟურნალისტები შოკში არიან: თურქეთში აშშ-ის კონსული ჩარლზ ჰანტერი ახალგაზრდა თურქ „ბოიფრენდზე“, რამადაც ჩაისვევრზე, აპირებს დაქორწინებას.“
<http://bit.ly/1A2kDOn>

საქინფორმი, 16 დეკემბერი

"თურქეთში აკრედიტირებული დიპლომატები შოკში არიან! ამის შესახებ თურქული გაზეთი „Sabah“-ის საიტი წერს და აღნიშნავს, რომ აშშ - ის კონსული სტამბულში ჩარლზ ჰანტერი არატრადიციული ორიენტაციის ახალგაზრდა თურქ მამაკაცზე, სახელად რამადაც ჩაისვევრზე დაქორწინებას აპირებს.“
<http://bit.ly/1A4Uikh>

კპირის ქრონიკა, 15 დეკემბერი

ინკომენიტი რესპოდენტი: "ვახო [ვახტანგ გომელაური, შს მინისტრის პირველი მოადგილე] იყო აი, 17 მაისს რომ ერთი ამბავი იყო "პედერასტებზე", მანდ ეგ მთელი სიტუაცია ვახომ მართა... ისე უნდა მიეშვათ მაგათთვის ეგ წყალი! კაცს რომ კაცი მოუნდება, ის ნორმალურია?"

გაგრძელება გვ. 4



ჯონლი ბალათურია, ბურჯანაძე-გაერთიანებული ოპოზიცია:

"პირდაპირ გეუბნებიან, რომ ჩვენთვის პრიორიტეტი არის... სექსუალური უმცირესობა, რომელიც უნდა მოგვაჯდეს თავზე, თურმე და სხვადასხვა სექტები. "

კომოვობა

საქინფორმი, 16 დეკემბერი

ნინო ქართველიშვილი, ავტორი: "ყველა ქვეყნის მედიკოსთათვის ცნობილია, რომ ე.წ. „სექსუალური უმცირესობები“ ბუნებაში მხოლოდ 5%-ი იზადებიან... იგივე უფლებებით უნდა სარგებლობენ, როგორც უნარშეზღუდული, ხეივანი, დაუნის სინდრომით თუ კიდევ სხვა დაავადებების მოქმე ადამიანები..."

სწორედ ეთიკისა და მორალის (ზნეობის) თვალსაზრისით, ასეთი ურთერთობები საზოგადოებაში უზნეობად ითვლებოდა! ოღონდ, მის პროპაგანდაში ადრე არც გრანტს იძლეოდნენ, არც კარგ სამსახურსა და არც კანონი (ანტიდისკრიმინაციული) იცავდა მათ. არც ასეთი მიდრეკილებების აფიშირებას ახდენდა ვინმე?!"
<http://bit.ly/1Ap22N2>

გენდერი

კპირის ქრონიკა, 15 დეკემბერი

გელა აბულაძე, პოეტი: პოლიტიკოსნო(!)... წადით, სანამ დროა, თორემ მეც ისევე მოგცემთ პირში, როგორც ირაკლი კირკიტაძემ მისცა ფემინისტ ქალებს. მე მემინია, როცა თექვსმეტი წლის გოგოს რომელიმე პარტიის მაისური აცვია. მას ხომ მე, გელა აბულაძე უნდა ვჟიმიავდე, ის კიპოლიტიკური მეძავი გახდა."

ანტიდასავლური განწყობები

ობიექტივი, ღამის სტუდია,
21 დეკემბერი

ვალერი კპარაცხელია, წამყვანი:

„გერმანული ფაშიზმი, რომელიც კაცობრიობას გაუგონარ ბოროტებად მოეგლინა, ამერიკული ფულით იყო ნაკვები, ამერიკის შეერთებული შტატებისგან იყო წახალისებული და პირველ რიგში, სწორედ ამ ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომაც იყო, რომ ჰიტლერის ფაშისტურ პარტიას არამარტო უბრალო დაფინანსება, არამედ უზარმაზარი დაფინანსება გაუწიდა..."

ისინი, ვინც სტალინურ რეპრესიებზე გაუთავებლად გაჰყვირიან, მაგრამ ხმას არ იღებენ ამერიკელთა უამრავ დანაშაულზე, დაწყებული ამერიკის კონტინენტზე აბორიგენი მოსახლეობისთვის გენოციდის მოწყობით და დამთავრებული იუგოსლავიით, ერაყით, ავღანეთით... გსმენიათ ოდესმე ამ ეგრეთწოდებული ჰუმანისტების მიერ გამოთქმული პროტესტი იმ საშინელ

ვანდალიზმზე, იმ წარმოუდგენელ მხეცობაზე, რომელიც ამერიკელებმა იაპონიაში ჩაიდინეს...

ყურადღებით მოვუსმინოთ ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელ პრეზიდენტს ტრიუმენს, ვისთვისაც, წესით, ჯოჯოხეთის კუპრიც რბილი და ლოიალური სასჯელია.

სიუჟეტი: ვინმეს შეიძლება ეჭვი შეეპაროს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იდგა სტალინის წინაშე საბჭოთა კავშირში არსებული მეხუთე კოლონის რეპრესიების ისტორიული აუცილებლობა?

http://www.myvideo.ge/?video_id=2474636
http://www.myvideo.ge/?video_id=2474661&rc=1
http://www.myvideo.ge/?video_id=2474674

გაგრძელება გვ. 5

ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი,
15-21 დეკემბერი

თიმურ საჩიშვილი, ყოფილი

შსს-ს მინისტრი: "ჩვენ უნდა შევიდეთ ევრაზიულ კავშირში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი გლეხები და მეწარმეები ყოველგვარი ბაჟის და დღგ-ს გარეშე გაიტანენ თავიანთ პროდუქციას რუსულ ბაზარზე... აი, აღმშენებლობის და აღორძინების რეალური გზა, რომელსაც მაქსიმალურად გვიხშობს ნატო და ევროკავშირი, საქართველოში თავისი რეზიდენტების - ნაცების და მათ ორბიტაზე მყოფი ძალების საშუალებით!"

ასავალ-დასავალი,
15-21 დეკემბერი

თიმურ შაშიაშვილი, ბურჯანაძე-გაერთიანებული

დემოკრატები: "ვეკითხები საქართველოს - ესენი არიან ქართველი ხალხის მეგობრები [შერჩევითი სამართლის შესახებ სამხრეთ კავკასიაში ეუთო-ს სპეციალური წარმომადგენლის ჟოაო სუარესის განცხადების შესახებ]? არა, ესენი გახლავან მეგობრის მანტიამი გახვეული მტრები!"

GEWORLD.GE, 17 დეკემბერი

ნანა დემდარიანი, ავტორი:

„...ადამიანების წამება და ტერორი სააკაშვილის რეჟიმმა მისი ოკეანისგაღმელი “დემოკრატებისგან” ისწავლა, რომ აშშ-მა სრულიად დაკარგა მორალური უფლება, ვინმეს დემოკრატია დაუწუნოს და ადამიანის უფლებების

დარღვევაზე უსაყვედუროს...

ამერიკის ბიუჯეტიდან მიღებულ ი 80 მილიონი დოლარის სანაცვლოდ მათ (ფსიქოლოგებმა - გრეისონ სვიგერტი და ჰემონდ დანბარი) წამების 20 სახე შეიმუშავეს. მათ შორის, ადამიანის ცოცხლად დამარხვაც იყო. წამების 10 მეთოდი ცს-მაც კი მხეცურად მიიჩნია და არ გამოუყენებია.

სამაგიეროდ, გამოიყენა ისეთი ხერხი, როგორც არის ადამიანის დამწყვდევა კუბოს ზომის საკანში." <http://bit.ly/1vgkDVR>

ასავალ-დასავალი,
15-21 დეკემბერი

გიორგი ბიგაური,

ჟურნალისტი: "არ ვუნდივართ ამ ნატოს-ს, ბატონო, და სანამდე უნდა ვუმღეროთ თავპირდაღლეწილებმა სერენადები ბრიუსელელ მზეთუნახავს?!"

და რომც მოხდეს სასწაული და რუსეთის შიშის მიუხედავად, ნატო-მ თავის ფემენებელურ სასახლეში სრულუფლებიან პარტნიორად მიგვიღოს, ამით ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას მაინც არაფერი ეშველება!"

GEWORLD.GE, 17 დეკემბერი

თამარ ღვინთაშვილიანი,

ავტორი: „...არც ბათუმის დამოკიდებულებას უცნაური - ისინი ხომ ნატოს სახით თურქეთის გამაღებელი ექსპანსიის მსხვერპლად აღიქვამენ თავს.“ <http://bit.ly/1x2WqWb>

GEWORLD.GE, 18 დეკემბერი

იოკანეს ფოქანაშვილი, ევროპარლამენტის ყოფილი დეპუტატი “მწვანეთა”

პარტიიდან: „აშშ ამ კონფლიქტში მთავარ როლს თამაშობს. უკრაინაში ამ კონფლიქტის წარმოქმნაში დამნაშავე დასავლეთის ქვეყნები არიან...“

რუსეთი უპირობოდ აღიარებდა უკრაინის ერთიანობას ყირიმის ჩათვლით. რუსეთი ამას აკეთებდა იქამდე, ვიდრე კიევში მოხდა პუტჩი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ. აი, ნაქები ევროპული ღირებულებები!“ <http://bit.ly/1E2r0Fw>

GEWORLD.GE,
18 დეკემბერი

არმაზ სანებლიძე,

ავტორი: „ახალი რომი უწოდეს დღეს ვაშინგტონს, რომელმაც ევროკავშირი თავის ვასალად აქცია...“

გერმანიის მოსახლეობა ყოველწლიურად მილიარდობით ევროს იხდის საკუთარ ოკუპაციაში. ამ თანხით გერმანელები აფინანსებენ აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავებით წარმოებულ ანტიადამიანურ ომებს სასიკვდილო განაჩენით დალდასმული სახელმწიფოების წინააღმდეგ.“

<http://bit.ly/1Ayqknu>

გაგრძელება გვ. 6

კომოვობა

კვირის ქრონიკა, 15 – 21 დეკემბერი

გიორგი ჯიქიაშვილი,

ჟურნალისტი: "ეს მეხუთე კოლონა [არასამთავრობო ორგანიზაციები] ოკეანის გაღმა გამოზრდილ "განათლებამიღებული" და ეროვნული ფასეულობები-საგან გამოშიგნული ტინგიცა გოგო-ბიჭები არიან, რომლებიც პირდაპირ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მითითებითა და ინსტრუქციებით მოქმედებენ"...

საქინფორმი, 16 დეკემბერი

"რიჩარდ ბეკერის აზრით, ბოლო 50-60 წლის მანძილზე მილიონობით ადამიანი როგორც უშუალოდ ამერიკელი სამხედროებისა და სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენელთა, ასევე უცხოეთის იმ საელმწიფოთა ჯალათების წამების მსხვერპლად იქცა, რომელთა მთავრობებსაც მხარს უჭერდა ვაშინგტონი."

<http://bit.ly/1zJRLXJ>

საქინფორმი, 16 დეკემბერი

ნინო ქართველიშვილი, ავტორი: "თითქოს „მოჯადოებული წრეზე“

ვტრიალებთ. ერთი მხრივ- „ევროპული ინტეგრაციისა და ნატოსკენ“ მივიღებთ, რაც „ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ“, თითქოს, „სექსუალური უცმირესობების“ დაცვას გვალდებულებს. მეორე მხრივ - ის, რასაც ამ „ენჯელებ-ცნობადების“ ხელით ეს „ევროინტეგრაციისა და დასავლური კურსიკენ სვლა“ მოითხოვს - ქართული საზოგადოების უმრავლესობაში დამკვიდრებულ მორალისა და ეთიკის ნორმებს აშკარად სცილდება?"

<http://bit.ly/1K91vyE>

საქმეზე ტარიელ ნაკაიძე Mediacity-ს წინააღმდეგ ქარტიამ სამი მუხლის დარღვევა დაადგინა

დასაწყისი გვ. 1

აღნიშნულ პუბლიკაციაში ასევე დარღვეული იყო მე-7 მუხლი, რომელიც დისკრიმინაციას შეეხება.

"თავად ჟურნალისტის მიდგომა ნაცვალგების ჭრილში განეხილა მეჩეთის აშენების საკითხი (ნათია ვასაძე: "გადაწყვეტილება თურქულმა მხარემაც შეცვალა და ქართული ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ მეჩეთის აშენებას აღარ ითხოვს?"), ისევე როგორც მის მიერ დასმული შეკითხვა - "ხომ არ გავიწყდებათ, რომ საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა არის გამოცხადებული?" - დისკრიმინაციულია, რადგან ის შეუსაბამოა თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპთან და ქართველ მუსლიმებს ქვეყნის მეორეხარისხოვან მოქალაქეებად წარმოაჩენს", -აღნიშნულია საჩივარში.

რესპონდენტის მიმართვის შემდეგ, რედაქციას შეესწორებინა მასალაში გასული უზუსტობები, რასაც სოციალურ ქსელებში მუსლიმთა მიმართ სიძულვილის ენა მოჰყვა, რეაგირება არ მოჰყოლია, რითაც დაირღვა ქარტიის მე-5 მუხლი, რომლის თანახმად, "მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება".

განხილვაზე Mediacity-ის რედაქციამ წარმოადგინა აუდიო ჩანაწერის ტრანსკრიპტი, რომლითაც დადასტურდა ის უზუსტობები, რაც ვებ-გვერდზე განთავსებულ ვერსიასა და ტარიელ ნაკაიძის მიერ მიცემულ კომენტარს შორის არსებობდა.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებით, ინტერნეტ-პორტალის ჟურნალისტმა დაარღვია ქარტიის პირველი (სიზუსტე), მე-5 (არაზუსტი ინფორმაციის შესწორება) და მე-7 (დისკრიმინაციის დაუშვებლობა) მუხლები.

MDF
GDI

www.mdfgeorgia.ge

www.gdi.ge

ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , mdfgeo@gmail.com

დ.გამრეკელის #2, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , info@gdi.ge